სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლება სხვაზედა...

# ოდიში

1991
შაბათი
7
სექტემბერი
№ 105 (10498)
ფასი 5 კაპ.

ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტურისა და საკრებულოს ორგანო

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

8 სექტემბერი ჟურნალისტთა სოლიდარობის საერთაშორისო დღე

## ჭეშმარიტი ღირებულებების დამკვიდრებისათვის

ჟურნალისტიკა. ამ ცნებაში თოლად იკითხება ამ უძველესი პროფესიის განუმეორებელი ხიბლი. აღნიშნულ სფეროში მოღვაწე ადამიანები, ვინც თავისი მაღალი . თვითშეგნებისა და გულის კარნახით ეწეოდნენ ამ მძიმე ჭაპანს, მუდამ იდგნენ პროგრესის, საკაცობრიო იდეალების სამსახურში. იცვლებოდა ეპოქები, პოლიტიკური კონიუნქტურები, მაგრამ პრესის ჭეშმარიტი მსახურნი ყოველთვის ესწრაფვოდნენ სიმართლეს, არსებული რეალიების ობიექტური სურათის ჩვენებას. ამასთან საინფორმაციო საშუალებებს განუზომელი წვლილი შეჰქონდათ მომავლის მეცნიერულად განჭვრეტის საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლების კეთილშობილურ საქმეში.

საბჭოური ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში პრესა განიცდიდა იდეოლოგიური მონოპოლიის წნეხს. იგი ფაქტიურად იძულებული იყო თვინიერად და ქედმოხრით ეზიდა კაბინეტებში შექმნილი პოლიტიკური დოქტრინების უსიტყვო პროპაგანდის მძიმე ტვირთი. ეს ამკვიდრებდა ეგრეთწოდებულ პარტიულ პრესაში სხვადასხვა შტამპებს, დოგმებს, სტერეოტიპებს. მაგრამ მიუხედავად ასეთი სულისშემხუთველი პირობებისა, იყვნენ გაბედული და პრინციპული, შინაგანად წესიერი და მაღალნიჭიერი ჟურნალისტები, რომლებიც. არ უშვებდნენ კომპრომისს საკუთარი სინდისის წინაშე. და როგორც წესი, ამდაგვარი ძალისხმევა ყოველთვის „ჯილდოვდებოდა" მკაცრი სანქციებით ოფიციალური ორგანოების მხრიდან.

ახლა საზოგადოებაში მიმდინარეობს დემოკრატიული გარდაქმნები. მაგრამ გაზეთები და ჟურნალები ნელა თავისუფლდებიან ძველი, დრომოჭმული სტრუქტურების მეურვეობისაგან. ეს განწყობილება მთელი სისავსით დააფიქსირა ამასწინათ რეაქციული ძალების მიერ განხორციელებულმა პუტჩმა. აშკარად გამოიკვეთა ჟურნალისტიკის ორი ფრთა: თავისუფალი, დემოკრატიული პრესა და დრომოჭმული, პარტოკრატიული სტრუქტურების სამსახურში მდგარი, წინდისგაყიდული კალმოსნები. აღნიშნულმა მღელვარე მოვლენებმა თვალნათლივ დაადასტურა იმის საჭიროება, რომ მსოფლიო დემოკრატიული პროცესების წინ წაწევის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალისტების სოლიდარობას, ზოგადკაცობრიული, ჰუმანური პრინციპების პროპაგანდას. და რაოდენ სასიამოვნოა, რომ განსაცდელის წინაშე მდგარ რუსეთს, მის დემოკრატიულ ძალებს მხარში ერთსულოვნად ამოუდგნენ მსოფლიოს მოწინავე გაზეთები. საინფორმაციო სააგენტოები. ამ მრავალხმიან ორკესტრში თავისი სიტყვა თქვა ქართულმა ჟურნალისტიკამაც.

ჟურნალისტთა სოლიდარობის საერთაშორისო დღე უამრავ ფიქრებს აღძრავს. ბევრი პრობლემა დაგროვდა ქართული პრესის წინაშე. მიმდინარეობს ღირებულებების, კრიტერიუმების გადაფასების მტკივნეული პროცესი. საქართველოს დამოუკიდებლობისა და საზოგადოების დემოკრატიზაციის წმიდათაწმიდა მიზანი კარნახობს საინფორმაციო ორგანოების წარმომადგენლებს განაახლონ გასაშუქებელი საკითხების თემატიკა, სრულყონ პროფესიული დონე, მიაწოდონ მკითხველებს ცოცხალი, საინტერესო, ობიექტური გაზეთები და ჟურნალები, რადიო, თუ სატელევიზიო გადაცემები.

მკითხველთა ფართო ფენებს სწამთ და სჯერათ: პრესა დღითი დღე სულ უფრო თავისუფალი, დემოკრატიული, გაბედული, მიუკერძოებელი იქნება. და იგი თავის წონად სიტყვას იტყვის ქართველი კაცის თვითშეგნების ამაღლების, ჭეშმარიტი წარუვალი ღირებულებების პროპაგანდის საქმეში. ყოველივე ამის თქმის უფლებას გვაძლევს საქართველოს რესპუბლიკის კანონი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ, რომელიც ამასწინათ პრესაში გამოქვეყნდა

[გაგრძელება სხვა გვერდზე]

მრეწველობა—91

## ქარხანა მოელის ხილეულს

ზუგდიდის საკონსერვო ქარხანამ სეზონის დაწყებიდან მიიღო და გადაამუშავა 116 ტონა ტყემალი. მოსალოდნელი იყო ფასის მომატებასთან (კილოგრამზე 45 კაპიკის ნაცვლად გაიცა 70 კაპიკი) დაკავშირებით არ შეიქმნებოდა ნედლეულის სიმცირე, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. მიუხედავად მაღალი წარმადობისა ქარხანაში იმუშავა მხოლოდ ერთმა საამქრომ.

ამჟამად მიმდინარეობს საადრეო მსხლის მიღება რომლის ფასი აღემატება 40 კაპიკს. ქარხანა ლეღვის მიღების მოლოდინშია, მისი გადამუშავება ტექნოლოგიით უნდა მოხდეს 10-15 დღეში.

სულ მალე 15-20 სექტემბრიდან ქარხანა მოელის „კაიფერას" ჯიშის მსხალს.

მოსახლეობა, ჩამბარებლები დაინტერესებულნი უნდა იყვნენ რათა ადგილი არ ექნეს დანაკარგებს, დიდია მოთხოვნილება ყოველ კილოგრამ ხილზე.

ახლოვდება ახალი სასწავლო წელი. საზოგადოება სერიოზულად ადევნებს თვალ-ყურს განათლების სისტემაში მომხდარ ცვლილებებს. თავი მოიყარა ათასგვარმა სიძნელემ, ზოგიერთი პრობლემა პრობლემადვე რჩება. რამდენიმე კითხვით მივმართეთ განათლების განყოფილების გამგის მოადგილეს ბ. გელენავას.

## სიახლეები ახალი სასწავლო წლისათვის

—რა სიახლეებითა და პრობლემებით ხვდებით ახალ სასწავლო წელს?

—ერთ-ერთ ტრადიციულ საზრუნავად კვლავ რჩება ნორმალური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა და სხვა ტექნიკური ფაქტორების მოგვარება. საამისოდ გამოიყო გარკვეული თანხა პრეფექტურიდან. სკოლებს მიეწოდათ სამშენებლო მასალები, რათა დროულად დამთავრდეს კაპიტალური რემონტი. სწავლა განათლების სამინისტროს დადგენილებით დაიწყება 16 სექტემბერს.

რაც შეეხება უშუალოდ სასწავლო პროცესში არსებულ სიახლეებს, ისინი ალბათ, დროთა განმავლობაში უფრო გამოიკვეთებიან, თუმცა ცვლილება, რომელიც მე-10 კლასში გადასაყვან მისაღებ გამოცდებს ეხება, და, უკვე ნათელია. წელს, ივნისში პირველად ჩავატარეთ ასეთი სახის გამოცდა. სამსაფეხურიანი სისტემის შემოღებამ სერიოზულად შეცვალა სასკოლო ცხოვრება სკოლას უკვე არ ევალება გასცეს „საყოველთაო—სავალდებულო განათლება" 10 კლასის სრულად დამთავრების სახით. სავალდებულოა მხოლოდ ორი საფეხურის გავლა ანუ მე-10 კლასამდე სწავლა, შემდეგ კი გადაყვანა მოხდება შესაძლებლობებისა და ცოდნის მიხედვით. რასაც მოსწავლე მისაღებ გამოცდებზე გამოავლენს. ასეთი სახის გამოცდა განმეორებით ჩატარდება აგვისტოში.

სასწავლო პროცესს შეეხება ერთი საყურადღებო სიახლეც. 1990 წლიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სასწავლო გეგმიდან ამოღებულ იქნა საგანი „საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები", ვინაიდან იგი არ პასუხობდა დროის მოთხოვნებს. გათვალისწინებულ იქნა რა მოსწავლე-ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდის აუცილებლობა, განათლების სამინისტრომ მიზანშეწონილად მიიჩნია ამ საგნის სწავლების განახლება 1991-92 სასწავლო წლიდან. ამჟამად მუშაობენ სამართალმცოდნეობის ორიგინალური პროგრამის ჩამოყალიბებისთვის.

—რა მდგომარეობაშია დროებით შეჩერებული რიგგარეშე ატესტაცია?

—რაც შეეხება განათლების მუშაკთა რიგგარეშე ატესტაციას. რომელიც სპეციალური ბრძანებულებით 17 ივნისს დროებით შეჩერდა, სამინისტროს ბრძანებით განახლდა 20 აგვისტოდან. ამასთან გადაწყდა, რომ გამოყენებულ იქნეს კატეგორიების მინიჭებისთვის ახლად შემუშავებული საკვალიფიკაციო მახასიათებელი და კრიტერიუმები. 1-ლი კატეგორია მინიჭებულ მასწავლებელთათვის საბოლოო კატეგორიის დამტკიცება მოხდება საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების რესპუბლიკურ ინსტიტუტში და მის რეგიონალურ ფილიალებში, ხოლო უმაღლეს კატეგორია მინიჭებულ მასწავლებლებისათვის სამინისტროს საატესტაციო კომისიაზე.

აქვე დავსძენ სამინისტროდან გამოგზავნილი ერთი ბრძანების შესახებაც. პედაგოგიური მეცნიერება ასაბუთებს რა პრაქტიკამაც ცხადყო, რომ მოზარდის არამშობლიურ ენაზე სწავლება აუნაზღაურებელ ზიანს აყენებს პიროვნების ჩამოყალიბებას, იწვევს მის ფიზიკურ და გონებრივ დეფორმირებას. მიუხედავად ამისა, მშობლები ხშირად აკეთებენ მცდარ არჩევანს — შვილები შეყავთ არაქართულ სკოლამდელ დაწესებულებებსა და სკოლებში. სამინისტროს ბრძანებით, არ უნდა დაუშვან არაქართულ ენაზე სწავლების სკოლამდელ დაწესებულებებსა და სკოლის პირველ კლასებში ქართული ეროვნების ბავშვების მიღების არც ერთი შემთხვევა.

ვსარგებლობ შემთხვევით და ყველას, ვინც ემზადება ახალი სასწავლო წლისთვის, მოვუსურვებ წარმატებას.

საუბარი ჩაიწერა.
რ. მიქენაიამ.

ქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის
პრეფექტის განკარგულება

1991 წლის 3 სექტემბრიდან გაზეთი „ოდიში" გარდაიქმნას ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტურისა და საკრებულოს ბეჭდვით ორგანოდ.

ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტი
თ. ყორყოლიანი

1991 წლის 3 სექტემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოხმაურება

# აღვუდგინოთ სოფელს ძველი სახელწოდება

ამასწინათ გაზეთ „ოდიშში" გამოქვეყნდა მკვლევარ-ისტორიკოსების აბესალომ ტუღუშისა და ავთანდილ თორდიას წერილი —„ზემო ყულიშკარი თუ ალერტკარი?". საფუძვლიანად ვეთანხმები ავტორებს წარმოდგენილი მოსაზრების სისწორეში.

ამჯერად ჩემი მიზანია სათაურში აღნიშნულთა წარმოშობა ავხსნა და დაინტერესებულ მსჯელობის საბუთიანობა წარვუდგინო. ამ ოციოდე წლის წინათ, საკანდიდატო დისერტაციაზე მუშაობისას, აღნიშნულ საკითხს შევეხე და გამოვაქვეყნე კიდეც სპეციალურ გამოცემაში. ამჯერად ჩემს მოსაზრებებს ვთავაზობ ფართო მკითხველებს.

თითოეულ ჩვენთაგანს თავისი გვარის წარმოშობის შესახებ გარკვეული წარმოდგენა აქვს. იცის, სად იმყოფებოდა მისი საგვარეულოს „ქინქი ხატი"—სალოცავი ხატი და ა. შ. სხვადასხვა დროს ჩავიწერე უჩა შონას მკვიდრი ნათესავი მოხუცებისაგან, აწ გარდაცვლილი მღვდლების ბესარიონ როგავას და მისი ძმა ანდრია როგავასაგან, აგრეთვე ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი ბესარიონის ძე როგავასა და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ აპოლონ ანდრიას ძე როგავასაგან ნაამბობი, გამოვიყენე ხალხში გავრცელებული გაგონილი აგრეთვე წერილობითი საბუთები რის შედეგადაც გამოირკვა შემდეგი: როგავას წინაპარი როგაანი (როგოიანი) თავდაპირველად სადადეშქელიანო სვანეთის მკვიდრი და დადეშქელიანის მსახური ყოფილა. მსახურ როგოიანს გადაუწყვეტია დაქორწინება ერთ ლამაზ სვან ქალზე. ქორწილისას დადეშქელიანს მოსწონებია პატარძალი, გაუტაცია იგი და ცდილა ის საქმროსათვის არ დაენებებინა. შეურაცხყოფილი როგოიანები შეურიგან და თავს დასხმიან დადეშქელიანს თავის სასახლეში. დადეშქელიანი მოუკლავთ. ამის შემდეგ, ცხადია მსახურ როგოიანებს სადადეშქელიანო სვანეთში არ დაედგომებოდათ. რამდენიმე ოჯახი გაქცეულა თავისუფალ სვანეთში და იქ შეუფარებია თავი. როგოიანთა უმრავლესობა კი ოჯახებით გამოქცეულან სამეგრელოში და თან წამოუღიათ „ყულის" ძლიერი ხატი. ეს მომხდარა მე-17 საუკუნის შუა ხანებში.

ოდიშის სამთავროში გადმოსვლის შემდეგ როგოიანების ერთი ნაწილი მხეიძის (ხეცის) ხიზანი ყმები გამხდარა, ხოლო მეორე ნაწილი დასახლებულა დღევანდელ ყულიშკარში, ისინი ემსახურებოდნენ ყულის ხატს მღვდელმსახურებად და მათი შთამომავლები საბატონო ბეგარაგამოსაღებისაგან თავისუფალნი ყოფილან. სამეგრელოში გადმოსვლის შემდეგ მათი გვარი როგავად შეცვლილა.

როგავების მიერ დადეშქელიანის მოკვლის ამბავი ასახულია დღემდე შემორჩენილ მეგრულ ლექსში, რომელშიაც სვანები „ჩივიან": „როგუ-რაგუ როგებსია ფერ მუ შევცოდითია, დუდი ბკვათესუ დო რობუს ალმორაგვესია".

სოფელი ყულიშკარის სახელწოდება ყულის ხატისგანაა წარმოშობილი. ამ სოფელში შედიოდა უჩა შონა, ს. გრიგოლიში და ს. ახალსოფლის ნაწილი, სადაც დღეს დაახლოებით 400 კომლი როგავა ცხოვრობს. სწორი არიან გრიგოლიშის მკვიდრნი გრიგოლ ანთელავა და არსენ კანკია, როცა აღნიშნავენ: „ალერტკარი გრიგოლიშს ერქვა ძველად და ყულიშკარის თემში შედიოდა, რომ კანტორა იქ გვქონდა". და რაც მთავარია: „ალერტი ანთელავების ეკლესია იყო, ყული—როგავებისა, ხოლო უგურყელი—ჭურღულიებისა".

სოფელ ყულიშკარში არის ყულიშ-კარის ეკლესია, რომელიც განთქმული იყო მთელს სამეგრელოში, როგორც ძლიერი ხატსამლოცველო (იხ. ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბილისი, 1941 წ. გვ 368). დღემდე შემორჩენილია წყევლა: „სი დოუჭყუდა ყული დო [illegible]".

1918 წელს ყულიშკარის ეკლესია დაუთვალიერებია აკად. ე. თაყაიშვილს. მას აღწერილი აქვს „ყულიშ-ხატი"—ვერცხლის ჯვარი რომელზედაც მე-18 საუკუნის მხედრულით წარწერილი ყოფილა შემდეგი: „მღვდელმა გაბრიელ როგავამ გავაჭედინე ხატი ხულის ყულისა". 1936 წელს ყულიშკარში პროფ. ს. მაკალათიას ადგილობრივი მცხოვრები ბეგი თირქიასა და სხვებისაგან ჩაუწერია ბევრი საინტერესო მასალა. ს. მაკალათია აღნიშნავს: „ყულის წმინდა გიორგის ეს ჯვარი (ხატი) ხალხური გადმოცემით, სვანეთიდან ჩამოუტანია როგავას წინაპარს... ყულის ხატის მეხატულესა და მღვდელს ირჩევდნენ როგავასა და მაქაცარიების გვარიდან. ხატობა აქ იმართებოდა 10 ნოემბერს და დიდძალი მლოცავი თურმე მოდიოდა" (იხ. ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი. გვ. 364).

„უჩა, შონა" წარმოშობილია სვანურიდან. იგი ეწოდებოდა მაღლარი ვაზის ერთ სვანურ ჯიშს, რომელიც როგავების წინაპრებს ყულის ხატთან ერთად ჩამოუტანიათ სვანეთიდან და ყულიშკარში გაუვრცელებიათ... დაგვრჩა „ალერტი". ესეც ხატია ანთელავებისა. ირკვევა, რომ მათ თემში ეკლესია-სალოცავი ჰქონდათ—ალერტიშკარი (ალერტკარი), მაგრამ დღეს აღარაა...

ყულიშკარი და ალერტიშკარი ისეთივე სახელწოდებაა, როგორც „ჯიხაშკარი". აღნიშნული სახელები სუფთა მეგრულია და უმჯობესია, თანაც სწორია, ასე ვიხმაროთ.

ჯანიერ როგავა,
ცაიშის ი. მეუნარგიას სახლ-მუზეუმის დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

# დავით აღმაშენებლის ეკლესია

ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის დადიანისეულ არქივში ჩვენ ვნახეთ ერთი ღირსშესანიშნავი „სავედრებო" დოკუმენტი (№ 5802), რომელიც გვამცნობს, რომ ზუგდიდის რაიონში (მაშინდელ მაზრაში) არსებულა საქართველოს სწორუპოვარი მეფის დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესია. იგი ხომ წმინდანად იყო აღიარებული.

ეს ძვირფასი დოკუმენტი 1887 წლის 18 იანვრისაა. მას აწერია „გამოკითხვა ქორწინებისა". იგი შეიცავს სიძე-პატარძლის ნათესაობის და ქორწინებასთან დაკავშირებულ სხვა კითხვებზე პასუხებს.

ამ საბუთით სიძე ყოფილა ზუგდიდის მაცხოვრებელი ლაზარე იესეს ძე ნანავა, რომელიც ზუგდიდის მაცხოვრის ეკლესიის სამრევლოში ირიცხებოდა, საცოლე ელისაბედ ჩიხუს ასული ფეტელავა სოფ. დავითიანის მცხოვრებია, რომელიც წმინდა დავით აღმაშენებლის ეკლესიის სამრევლოში შედიოდა.

დოკუმენტის მეორე კითხვის პასუხი სიტყვასიტყვით ასეთია: „საცოლე გლეხი ელისაბედ ჩიხუ ფეტელავას ასული ცხოვრობდა ვიდრე აქამომდე ს. დავითიანის წმ. დავით აღმაშენებლის ეკლესიის სამრევლოშიდ". გამოკითხვა უწერიათ მღვდელ პავლე ჯიქიას და მედავითნე გაბრიელ ჯიქიას. ჯვარისწერა მომხდარა ზუგდიდის მაცხოვრის ეკლესიაში.

სოფ. დავითიანი შედის ოქტომბრის სასოფლო ერთეულში. იგი მდებარეობს სოფლის ცენტრის ჩრდ. აღმოსავლეთით მდ. ჩხოუშიას სანაპიროზე. ასეა იგი შეტანილი ქართული ენციკლოპედიის მესამე ტომშიც. არ უნდა იყოს საეჭვო, რომ სოფელს ეს სახელწოდება მიღებული აქვს დავითის ეკლესიისაგან („დავითიანი").

დავითიანის ტერიტორიას (ან მის ნაწილს) თარგამეულსაც ეძახიან. ეს სახელი აქ გადმოიტანეს (როგორც ამას ხანდაზმული პირები ამტკიცებენ ზეპირსიტყვიერი გადმოცემებით) მე-19 საუკუნეში მარტვილის რაიონის სოფ. თარგამეულიდან (შედის თამაკონის სოფელში) აქ გადმოსახლებულებმა.

დავითიან-თარგამეულის ტერიტორიაზე ეკლესიის ნაშთის არსებობა დაადასტურა აქვე მცხოვრებმა, ისტორიკოსმა, ქალაქის მეორე საშუალო სკოლის დირექტორმა პატივცემულმა ქეთევან სიგუამ.

მამანტი ბაჭკორია,
ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის მეცნიერთანამშრომელი.

მღელვარე მოვლენების ექო

# კონსოლიდაცია გვმართებს

19-21 აგვისტოს ტრაგიკული მოვლენები რუსეთის ისტორიაში დარჩება, როგორც ქვეყნის დემოკრატიული ძალების დიდი გამარჯვება რეაქციაზე. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ცხადად მიანიშნებს იმაზე, რომ აღნიშნულ პუტჩის შემამზადებელი ფაქტორები თავისი ფესვებით უფრო ღრმად მიდის ვინემ ეს ზოგიერთს ჰგონია. ეს იყო ფაქტიურად ათეულ წლობით ჩამოყალიბებული კომუნისტური ტოტალიტარიზმით დასნებოვნებული ადამიანების შინაგანი, უხმო დუმილით წაქეზებული პოლიტიკური ავანტიურისტების მცდელობა კვლავ შეენარჩუნებიათ თბილი სავარძლები, კვლავ ებატონათ დამონებულ მასებზე.

ვერავინ ვერ დამარწმუნებს იმაში, რომ სახელმწიფო გადატრიალება მხოლოდ ერთეულ კარიერისტთა გადაწყვეტილება იყო მხოლოდ. ან რამდენიმე დღეში, სპონტანურად მოხდა ყოველივე. მას ამზადებდნენ ალქსნისისა და ჩეხოევის, კოგანისა და პეტრუშენკოს, ბლოხინისა და [illegible]-ის ტიპის დეპუტატები. ამზადებდნენ ისინი, ვინც ებრძოდა, ყოველნაირად ლანძღავდა, აკნინებდა რუსეთის დემოკრატიულ ძალებს. არც ის გამკვირვებია, რომ ხელმძღვანელი პარტოკრატიული სტრუქტურების წარმომადგენლები შეთქმულთა მხარეზე აღმოჩნდნენ. ოღონდ თავზარდამცა საქართველოს კომპარტიის განცხადებამ—მხარს ვუჭერთ ფარისეველთა შეთქმულებასო.

მომხდარიდან აწი მაინც უნდა გავაკეთოთ დროული და სწორი დასკვნები. ყველამ გავითავისოთ ის მომენტი, რომ ტოტალიტარიზმის დრო წავიდა. მომავალი ეკუთვნის დემოკრატიას, ეროვნული თვითგამორკვევის ჯანსაღ პროცესს.

ახლა, როგორც არასდროს, შურისძიების, ანგარიშსწორების ურთიერთჩასაფრების კი არა, ერთიანობის, კონსოლიდაციის დროა.

ნ. კვარაცხელია,
ინჟინერი.

# ერთსულოვნება გადაგვარჩენს

30-იან წლებში კომუნისტების მთავარი მიზანი იყო კომუნიზმის აგიტაცია. ახალგაზრდებისათვის კომუნისტური იდეალების რწმენა უნდა ჩაენერგათ და უარი ეთქვათ რელიგიაზე, როგორც ხელისშემშლელზე. ყოველ ნაბიჯზე გვხვდებოდა ლენინის ლოზუნგები: „არ სჭირდება ხალხს ორი რწმენა, უნდა გვწამდეს მხოლოდ კომუნიზმის, რომელსაც მალე დავამყარებთ ჩვენს ქვეყანაში- თაობათა ბედნიერებისათვის".

დაანგრიეს და დაწვეს ტაძრები. ათეული საუკუნეებით ნაგროვები და ნალოლიავები სიმდიდრე. ფეხქვეშ გათელეს რწმენა, რომ. [illegible] ადამიანებს სიმართლეს, სიკეთის პატიოსნებას, სიყვარულს [illegible].

კომუნიზმის ცრუ იდეით შეპყრობილმა ადამიანებმა 70 წლის მანძილზე გაუგონარი რეპრესიები მოაწყეს, დაწყებული რომანოვების ოჯახის ამოჟლეტით კულაკების წინააღმდეგ ლაშქრობით თუ სხვა მრავალი ბოროტებით. ჩვენ კი თვალახვეულებმა არც ვიცოდით და რომც გვცოდნოდა, სიცოცხლის ფასად გვიჯდებოდა სიმართლის თქმა.

ლენინი, რომელსაც კაპიტალისტების მტერს უწოდებდნენ, რკინის კარებით რაზავდა იმპერიას, რათა დაერაზმა ლოზუნგით „წინ კომუნიზმისაკენ" ნახევრად მშიერი მასა უსასყიდლოდ უხელფასოდ.

შვებას ვგრძნობ, რომ მანამდე სანამ გაუქმდებოდა კომპარტია გადავიგდე ეს მძიმე ტვირთი, რომელიც ძალადობით აგვკიდეს

მადლობა ღმერთს, ეს ყველაფერი უკვე წარსულია. დღეს მთავარია ამ განსაცდელის ჟამს ერთიანად დაირაზმოს ქართველი ხალხი თავისუფლების მოსაპოვებლად. სამწუხაროა, რომ ამ ბრძოლაში ზურგში ლახვარი ჩაგვცეს კომუნისტების ერთმა ნაწილმა, რომელთაც მხარი დაუჭირეს დემოკრატიის ჩახშობას.

მხოლოდ ერთსულოვნება და ჭეშმარიტი თავისუფლებისაკენ სწრაფვა გადაგვარჩენს.

ვ. შონია,
შრომის ვეტერანი.

იმედის სხივი

# დავეხმაროთ პატარა სოფიკოს

ქალაქ ზუგდიდის თავისუფლების ქუჩა № 288-ში მცხოვრები სოფიკო გურამის ასული სიჭინავა ძლიერ ავადაა, დიაგნოზი—ეპილეფსია. საქართველოსა და საბჭოთა კავშირის პირობებში ბავშვის მკურნალობა ვერ მოხერხდა. მედიკოს-სპეციალისტთა რჩევით აუცილებელია მისი საზღვარგარეთ, კერძოდ, გერმანიაში წაყვანა. რასაც სჭირდება გარკვეული ფულადი სახსრები. ხელმოკლე ოჯახი საჭიროებს დახმარებასა და თანადგომას.

პატივცემულო ზუგდიდელებო! იმედი გვრჩება, რომ ახლაც გამოიჩენთ ჩვეულ გულმოწყალებას, დახმარების ხელს გაუწვდით გაჭირვებაში ჩავარდნილ მოყვასს.

ყველას, ვისაც სურთ ფულადი შემწეობა აღმოუჩინოთ პატარა სოფიკო სიჭინავას, გაცნობებთ, რომ მის სახელზე ზუგდიდის აგრობანკში გახსნილია ანგარიში № 70041.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მალე დარეკავს სექტემბრის ზარი

სექტემბრის მოახლოებისთანავე გიჩნდება სურვილი სკოლებში შეიარო, ყველას მიულოცო ცოდნის დღესასწაული და მათთან ერთად გაიზიარო სკოლის ავ-კარგი.

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ზუგდიდის მე 14 საშუალო სკოლაში დიდი ხანია დამთავრდა სასექტემბრო სამზადისი. ყველა სართული შეკეთებულია, ეზო გაკოპწიავებული. იქაურობას მზრუნველი დირექტორის ხელი ეტყობა.

დირექტორი ქალბატონი ზამირა ლადუა მეოთხე სასწავლო წელს ხვდება ამ სკოლაში. საქმისა და ბავშვების მოყვარული, ტაქტიანი, განათლებული პედაგოგი პროფესიონალურად უძღვება სასკოლო ცხოვრების ყველა პრობლემას.

ქალბატონმა ზამირამ განსაკუთრებული მადლიერებით მოიხსენია „საქქაღალდმრეწვის“ გენერალური დირექტორი ბატონი ოთარ ფაცაცია. ენგურქაღალდკომბინატი, როგორც საშეფო ორგანიზაცია, დიდ დახმარებას უწევს სკოლას.

საუბრისას აღინიშნა, რომ სკოლის კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი მოეწყო უმაღლეს სასწავლებლებში, რაც სპეციალობათა მრავალფეროვნებამაც განაპირობა. რაც შეეხება მე-10 კლასში გადასაყვან მისაღებ გამოცდებს, ისინი საკმაოდ შედეგიანადაც დამთავრდა. სულ ცხრაწლიანი კურსის 58 დამამთავრებელთაგან მისაღები გამოცდების ჩაბარების სურვილი 30 მოსწავლემ გამოთქვა, რომელთაგანაც 29 ჩაირიცხა. დანარჩენ ბავშვებს განათლების სამინისტროს ნებართვით გამოცდების ჩაბარება შეეძლოთ ზაფხულის პერიოდში.

ქალბატონმა ზამირამ ისაუბრა რიგგარეშე ატესტაციის შესახებაც, რომელიც დამთავრდა 5 სექტემბერს. აქვე განათლების სამინისტროს ბრძანებით შემოღებულ იქნა კატეგორიები მასწავლებელთა პროფესიონალიზმის შესაფასებლად.

პედაგოგთა მაღალი კვალიფიკაციით დასაკვეხნი მართლაც აქვს სკოლას. აქ მუშაობენ ღვაწლმოსილი პედაგოგები, რომლებმაც გაუძლეს კომუნისტური იდეოლოგიის სასტიკ რეჟიმს და ყოველთვის ეროვნული სულისკვეთებით ზრდიდნენ მოსწავლეებს. აი, ისინიც: ბაბუცა მაჭარაია, ნორა კვარაცხელია, გული ჩხეტია, ბედიშა შონია, ლუდუ ჭკადუა, გივი მირცხულავა, ჯემალ ქირია, ნიკოლოზ შარია. მათ გვერდში უდგანან ახალგაზრდა პედაგოგები, რომელთაც შემართება არ აკლიათ.

ვსარგებლობ შემთხვევით და მე-14 საშუალო სკოლის პედაგოგიურ კოლექტივთან ერთად პედაგოგიური მოღვაწეობის 40 წლისთავს ვულოცავ ყველასათვის საყვარელ ადამიანს ბატონ კაპიტონ შენგელიას, რომელიც დღესაც შესაშური ენერგიით უძღვება სასკოლო საქმეს, არადა ასეთი ადამიანები ხშირად შესაფერისი ყურადღების მიღმა გვრჩება. ვუსურვებთ მას კვლავაც დიდხანს ყოფილიყოს მოზარდის აღზრდის მესაიდუმლე.

მალე დარეკავს სექტემბრის ზარი. სკოლა კვლავ მოუხმობს სწავლასმოწყურებულ მოზარდებს. სწორედ დღეს სჭირდება დედა-სამშობლოს განათლებული მოაზროვნე ახალგაზრდები.

ლალი ჯოლოხავა.

# ხვალის იმედი ჩაგვინერგეს

ყველაფერს ვიფიქრებდით, მაგრამ 1989 წლის 9 აპრილის სისხლიან დღეთა მომსწრეთ, თუ ასეთი უბედურებისთვის გაგვიმეტებდა განგება, ვეღარ წარმოგვედგინა, რომ არაფერი ვთქვათ სამაჩაბლოში ატეხილ ხოცვა-ჟლეტაზე.

დაგვენგრა და მიწასთან გასწორდა რაჭა-ლეჩხუმში საცხოვრებელი სახლები, უსახლკაროდ დავრჩით ათასობით ადამიანი. იმ დღიდანვე მოვიდა ამბროლაურის პრეფექტურაში დაზარალებულთა მიწვევები სხვადასხვა ქალაქებიდან. თავიანთ ჭერს გვთავაზობდნენ მოსახლეობაც. რამდენიმე ოჯახი ზუგდიდის რაიონში ჭკადუაშის დედათა და ბავშვთა დასასვენებელ სახლში გამოგვისტუმრეს. ჯერ შიში და წუხილი არ განელებოდა და უცხო გარემოსთან შეხვედრაც გვაფიქრებდა. ბუნების წიაღში აშენებულმა, დასასვენებელმა სახლმა ჩვენზე დამამშვიდებლად იმოქმედა. განსაკუთრებული სითბოთი და თანაგრძნობით შეგვხვდა პანსიონატის დირექტორი ხუტა ბოლოთურია. ყურადღებას არ გვაკლებს დირექტორის მოადგილე მამუკა ჩემია, მთავარი მედდა ლოდინა გოგოლავა, დარეჯან გაბელია, უფროსი მზარეული თემურ ჩემია, ...ველი პერსონალი. თბილმა გარემომ თითქოს განელილი დღეების სიმწარე დაგვავიწყა. არ დარჩენილა რაიონში და ქალაქში თითქმის არც ერთი საწარმო, ჩვენთვის დახმარების ხელი რომ არ გამოეწვდინა, ეს იქნებოდა ფულადი, სურსათით თუ ჩასაცმელით. მოდიოდნენ და მოჰქონდათ ჩვენთვის ხვალის იმედი.

უმადური უნდა იყო, რომ ასეთი ყურადღება არ დააფასო, ჩვენც ამ პატარა წერილით ვცადეთ იმ დიდი მადლიერების გამოხატვა, რაც დასასვენებელი სახლის მთელმა კოლექტივმა დაიმსახურა. მადლობა ყველას, ყველა ზუგდიდელს, ვინც სითბო გვიწილადა, ისინი ჩვენი სულიერი დები და ძმებია, ყველას მათ ჩვენი ოჯახის ახლობლებად ვთვლით.

დაზარალებულნი ქ. ამბროლაურიდან:

მედიკო გიორგობიანი,
მაია კინწურაშვილი,
ლამზირა გვიცაძე

# ისევ ამერიკული თეთრი პეპელას შესახებ

მისასალმებელია, რომ პრეფექტურამ შექმნა საგანგებო შტაბი ამერიკული თეთრი პეპელას არსებობის კერების აღმოსაჩენად და სალიკვიდაციოდ. ამასთან ერთად აღსანიშნავია ისიც, რომ ამ კომისიაში სამწუხაროდ ვერ მოხვდა ვერც ერთი პროფესიონალი მცენარეთა დამცველი. არ არის გამორიცხული კომისიამ მუშაობაში დაუშვას შეცდომები, რასაც აუცილებლად მოჰყვება მთელი რიგი დარღვევები გარემოს დაცვის საკითხებში. რა თქმა უნდა, ეს გაამწვავებდა რეგიონში შექმნილ ისედაც რთულ ეკოლოგიურ მდგომარეობას. ამიტომ სასურველია მოსახლეობამ და პრეფექტურასთან შექმნილმა კომისიამ ყურადღება გაამახვილონ ზოგიერთ საკითხზე.

ამერიკული თეთრი პეპელას შესახებ მიმდინარე წლის 17 აგვისტოს გამოქვეყნებულ წერილში, რომლის ავტორია მცენარეთა დაცვის ზუგდიდის სარაიონთაშორისო სადგურის უფროსი კ. თოდუა, მოცემულია ამ მეტად საშიში და დიდი ზიანის მომტანი მწერის მორფოლოგიური აღწერა. ნუ მიწყენს ავტორი და ეს აღწერა ცოტა არ იყოს სქემატურია და იგი საჭიროებს დაზუსტებას. აღსანიშნავია, რომ ამერიკული თეთრი პეპელა ზამთრობს ჭუპრის ფაზაში. დასაჭუპრებლად ის გადადის სხვადასხვა სახის თავშესაფარში, კერძოდ ხის გამხმარი ქერქის ქვეშ, ქვედა ტოტების ნაპრალებში, სარეველების ღეროში, სახლების სახურავქვეშ და ასე შემდეგ. მწერები დებენ კვერცხებს, 200-600 ცალს მცენარის ფოთლის ქვედა მხარეზე. საშუალო ნაყოფიერება შეადგენს 1200-1500 ცალს. ემბრიონალური განვითარების ხანგრძლივობა 5-10 დღეა. მატლები ვითარდებიან 30-50 დღის განმავლობაში. მეოთხე ასაკიდან ისინი ცხოვრობენ კოლონებად აბლაბუდის ქსელში გახვეული, ფოთლებისაგან გაკეთებულ ბუდეში. მეხუთე ასაკიდან კი იწყებენ დამოუკიდებელ ცხოვრებას. ისინი 7-ჯერ იცვლიან კანს. ამერიკულ თეთრ პეპელას აქვს ორი გენერაცია. სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ მეორე თაობის მატლები ამთავრებენ განვითარებას სექტემბრის ბოლოს, მიდიან თავშესაფარში დასაჭუპრებლად და გამოსაზამთრებლად. მაგრამ ეტყობა დასავლეთ საქართველოსათვის ეს მონაცემები მოითხოვს დამატებით შესწავლას და დაზუსტებას.

რაც შეეხება ზუგდიდის პირობებს, აგვისტოს თვიდან შეიმჩნევა ბოლო ასაკის მატლების გადაადგილება დასაჭუპრებლად.

ამერიკული თეთრი პეპლის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ამჟამად ყოველგვარი პესტიციდის გამოყენება სასტიკად უნდა აიკრძალოს, რადგან ეს გამოიწვევს მოსახლეობის, განსაკუთრებით ბავშვების ინტოქსიკაციას ხეხილის ნაყოფებით, გამოიწვევს აგრეთვე ჭებში სასმელი წყლის გაბინძურებას ქიმიური ნივთიერებით. ამასთან ბრძოლის ფიზიკურ მექანიკური ხერხებიც ვერ მოგვცემენ შედეგს, თუნდაც იმის გამო, რომ მატლები იმყოფებიან აქტიური მიგრაციის პროცესში. შესაძლებელია „ენტობაქტერინი — 3“-ის 05 ერთ პროცენტიანი სუსპენზიით მცენარის გაბანვა. სპეციალისტებს შევახსენებთ რომ „ბაცილუს ტურინგიენზის“ გამოყენება იწვევს ამერიკული თეთრი პეპლის 100 პროცენტიან დასნეულებას. ამავე დროს ეს პრეპარატი უარყოფით გავლენას არ ახდენს ენტომოფაგებზე, თბილსისხლიან ცხოველებზე და ადამიანებზე.

სოფლის მეურნეობის მაღალი კულტურის ქვეყნებში პეპლის წინააღმდეგ იყენებენ ძალიან მარტივ ხერხს, კერძოდ მცენარის შტამბს უკეთებენ საჭერ სარტყლებს, შემოდგომისა და ზაფხულის ბოლო ასაკის მატლების წინააღმდეგ, რომლებიც სარტყლების ქვეშ გროვდებიან დასაჭუპრებლად. ჩვენს პირობებში ამჟამად სწორედ ასეთი სარტყლების გაკეთება იქნებოდა ერთადერთი სწორი გზა.

გიორგი ესართია,
ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

თანადგომა

# მშენებლები სიტყვას არ გატეხენ

ბუნების სტიქიამ დიდი ზიანი მიაყენა დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რეგიონებს. განსაკუთრებით დაზიანდა ონის, ამბროლაურის, საჩხერის რაიონები და ქალაქი ჭიათურა. რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით №12 სამშენებლო ტრესტის №133 მოძრავ-მექანიზირებულ კოლონას დაევალა ონის რაიონში მიწისძვრით დანგრეული და დაზიანებული სახლების როგორც აშენება ისე აღდგენა.

გათვალისწინებულია მიმდინარე წელს აქ შესრულდეს 450 ათასი მანეთის სამუშაოები. უნდა აშენდეს ხუთი სახლი, შეკეთდეს ექვსი სოფელ ზოდსა და ფარეხში, სულ მშენებლობაზე მუშაობს ჩვენი სამმართველოს ოთხი ბრიგადა, რომელშიც გაერთიანებულნი არიან დურგლები, კალატოზები, მშენებლები, მემონტაჟეები. ადგილზე აქვთ სამშენებლო მასალები ხე-ტყე, ცემენტი და სხვა. ხოლო საკედლე ბლოკები მშენებლობაზე ჩააქვთ ზუგდიდიდან. №133 მოძრავ-მექანიზებული კოლონის მცირე საწარმოს წვრილი ბლოკების დამამზადებელი საამქრო ემსახურება მშენებელთა შეუფერხებელ მომსახურებას. ყოველ მესამე დღეს ონის რაიონის სოფლებში ფილმზიდებით იგზავნება წვრილი საშენი ბლოკები და საძირკვლის — ბლოკები. საშენი ბლოკების რითმულად მოწოდებისა და საამქროს დატვირთულად მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით მისი ხელმძღვანელობა დაეკისრა ახალგაზრდა მშენებელ ინჟინერს კახა შონიას. ყველა სამუშაოს მწარმოებელი გაერთიანებულია ბრიგადაში (ე. ჯალალონია, პ. გულორდავა, ჯ. ფიფია, თ. იზორია, გ. კვირკველია, ზ. თოდუა). ბრიგადები ადრე დილიდან გვიან ღამემდე მუშაობენ სრული დატვირთვით. არის შემთხვევები, როდესაც ტექნიკა ადგილობრივი რელიეფური პირობების გამო ვერ ახერხებს მოემსახუროს ობიექტებს. ასეთ შემთხვევაში ...ველი მშენებელი აქტიურად ებმება საქმეში და არ თაკილობს ხელით გადაზიდოს ის ტვირთი, რომელიც ტექნიკას უნდა გადაეტანა. ნაყოფიერად შრომობენ სამუშაოთა მწარმოებელი ფილიქს გულორდავას ბრიგადის წევრები ვ. გელენავა, გ. ხვიჩია, ა. ქობალია, დ. ქალდანი, მ. ქალდანი, მ. აკობია, დ. ჯიქონაია და სხვები.

ჩვენი სამმართველოს კოლექტივის შრომით საქმიანობას აქტიურად გამოეხმაურა ონის რაიონული გაზეთი „ონი“. მიმდინარე წლის 26 აგვისტოს ნომერში გაზეთმა თბილი სიტყვებით მოიხსენია მშენებლები და მძღოლები ვ. ჩილაჩავა, მ. ცირდავა, მ. შონია, ჯ. დარასელია, რ. ზარქუა და სხვები.

მშენებლები რაიონის ადგილობრივი ხელმძღვანელების ყურადღებით და მზრუნველობით არიან გარემოსილნი, პრეფექტურიდან და საკრებულოდან მშენებლობაზე მუდმივად მიმაგრებულია ერთი ამხანაგი, რომელიც ყოველდღიურ კონტროლს და დახმარებას უწევს მშენებელთა კვების ორგანიზაციას. ასეთი ყურადღებით და მზრუნველობით გამოყოფილი მშენებლები ვალში არ რჩებიან მთიანი რაჭის მშრომელთა წინაშე.

ონი რაჭის ყველაზე მთიანი ადგილია. აქ უკვე აცივდა. კიდევ ცოტა დრო და თოვლით შეიმოსება მთიანი რაჭა, მშენებლები ყოველ ღონეს ხმარობენ რათა სოფლის მშრომელებმა ახალმოსახლეობა იზეიმონ კეთილმოწყობილ სახლებში.

ი. ჩაგინავა,
№12 სამშენებლო ტრესტის № 133 მოძრავ-მექანიზებული კოლონის კადრების უფროსი ინსპექტორი.

## გიწვევთ ჯარალუაზე

15 სექტემბერს შემოქმედთა რეგიონალური საზოგადოება „აია“ ზუგდიდის სტადიონზე გიწვევთ ძველ მეგრულ-ტრადიციულ დღესასწაულ-ჯარალუაზე.

ჯარალუა ტრადიციულად ტარდებოდა რელიგიური დღესასწაულების დროს, უპირატესად მარიამობის დღეს, მაგრამ ამ დღეს ორგანიზაციული საკითხების მოუგვარებლობის გამო ვერ ჩავატარეთ. მომავალში იგი უნდა დამკვიდრდეს დათქმულ თარიღში.

ჯარალუა არასოდეს არ იყო პროგრამირებული და რეგლამენტირებული, იყო შეჯიბრებები სიმღერასა და ცეკვაში, მახვილსიტყვაობაში, პოეზიაში, გამოცანების ამოცნობაში, სპორტის სხვადასხვა სახეობებში, უფრო მეტად ცხენოსნობაში. იდგმებოდა თეატრალიზებული წარმოდგენები და სხვა.

ჯარალუაზე სამეგრელო წარმოაჩენდა თავის ჩაცმულობას, ნახელავს. გავიხსენოთ ჩვენი წინაპრების ნათქვამი: კაცს თავი რომ არ მოწონდეს ჯარალუაც არ იქნებოდაო. ამის გათვალისწინებით ჩვენს მრავალფეროვან პროგრამაში შევიტანეთ სილამაზის კონკურსი. უპირატესობა მიენიჭება ძველ მოდურ, უბრალო, სადა, კოხტა ვარცხნილობას, ჩაცმულობას.

ჯარალუაზე მოწვეული არიან ჩვენი რეგიონის საუკეთესო ფოლკლორული და საესტრადო ანსამბლები. მის ყველა მონაწილეს შეუძლია მოამზადოს სიმღერა, ლექსი, შაირი, გამოცანა, ანდაზები და ა. შ.

„აიას“ ეგიდით ზუგდიდის შემდეგ ჯარალუა ჩატარდება სამეგრელოს სხვა რაიონებში. გამარჯვებულები ფინალში კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს ზუგდიდში.

სხვადასხვა სახეობებში გამარჯვებულთათვის დაწესებულია ფულადი პრიზები. შემოსავლის ძირითადი ნაწილი გადაირიცხება „აიას“ ფონდში.

საქველმოქმედო ღონისძიებაზე ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროში.

ჯარალუა დაიწყება 15 საათზე.

„აიას“ საზოგადოება.

---

ზუგდიდის ჩაის საწონი ფაბრიკის კოლექტივი მადლობას უხდის ასოციაცია „ბიორეზონანსის“ ბიოენერგოკორექტორებს ქალბატონ მერი გოჩიაშვილს და ბატონ გოჩა [illegible]აშვილს მაღალკვალიფიციურად ჩატარებული სეანსებისათვის და მათვე უსურვებს წარმატებებს საქმიანობაში, ბედნიერებას პირად ცხოვრებაში.

ფაბრიკის დირექცია.

---

## შინაგან საქმეთა ზუგდიდის საქალაქო-რაიონული განყოფილების განცხადება

შინაგან საქმეთა ზუგდიდის საქალაქო-რაიონული განყოფილების ხელმძღვანელობა ქ. ზუგდიდის და რაიონის მოსახლეობას აუწყებს, რომ განყოფილებასთან შეიქმნა ახალი შს ქვეგანყოფილება, რომლის ცენტრი იქნება ენგურქაღალდკომბინატის ტერიტორია და მოემსახურება ენგურქაღალდკომბინატს, სოფლებს: ინგირის, ახალკახათის, კახათის, ოქტომბრის, შამგონის, განმუხურის, ახალაბასთუმნის, ორსანტიის, კოკის, ანაკლიის, ერგეტის და დარჩელის ტერიტორიებს.

ზემოთ აღნიშნულ ტერიტორიათა მაცხოვრებლებს ვთხოვთ განცხადება-საჩივრებით, მომხდარ შემთხვევებსა და სხვა საკითხებზე მიმართონ ენგურქაღალდკომბინატის ტერიტორიაზე მდებარე ახლად შექმნილ შს ქვეგანყოფილებას.

მისამართი: კიროვის ქ. 132, ტელ: 2-28-51. (სატუმრო „ეგრისის“ წინ).

შინაგან საქმეთა ზუგდიდის საქალაქო-რაიონული განყოფილება.

---

## ხსოვნა

## ზვარაკად შეწირული შვილი...

დრო ყველაფრის მკურნალიაო, —ნათქვამია, მაგრამ ასე არ ყოფილა, ჯანო!

ძლიერ მოგვენატრებიხარ შენს მეგობრებს, ახლობლებს, მეზობლებს... ყველაზე ძლიერად კი შენს დედ-მამას, მეუღლეს, შვილებს, დას, ძმებს.

ყოველთვის გამოირჩეოდი სხვებისთვის უჩვეულო შტრიხებით, შენ ხომ ისე არავინ გიცნობს, როგორც შენი მეზობლები...

ძნელია შენზე წარსულში წერა...

შენს მეუღლეს თვალებში ნაღველი ჩასდგომია, შენთან სამუდამო განშორების სევდა და ვარამი, გიხსენებს და ცრემლებით ენამება თვალები. თურმე ათ სექტემბერს შენი დაბადების დღეა. მეორმოცე გაზაფხულზე შემოგალამდა.

„ჩემი ზაზას და ნინოს მაგივრად წავედი იქ, სადაც საქართველოს უჭირდაო“, —გითქვამს. ნეტავი, მათი სტუდენტობა მაინც გენახა. შენს ოჯახში ცრემლნარევი სიხარულია, ჯანო! შენი შვილები სტუდენტები გახდნენ.

სწორედ, ასეთი ტკივილით რომ უნდა მოგილოცო დაბადების დღე. ცხოვრება მაინც გრძელდება. შენი სული აქაც ტრიალებს... მალე შენი საქართველოც ამოისუნთქავს, შენ რომ ზვარაკად შეეწირე.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ჯანო რაფავას ბობოქარი და მოუსვენარი სული!

მიმოზა ცანავა.

---

## ჩვენი ბებური მესხი

ერთი წლის წინ უბედურმა შემთხვევამ ზუგდიდის მეფრინველეობის ფაბრიკის კოლექტივს გამოაკლო ნიჭიერი სპეციალისტი, ინჟინერი ბებური მესხი.

სრულიად ახალგაზრდამ დაასრულა ლამაზი სიცოცხლე. რამდენი რამ დარჩა გასაკეთებელი...

მთელმა კოლექტივმა, ტექნიკუმის თუ ინსტიტუტის მეგობრებმა ცხარე ცრემლებით გააცილეთ უკანასკნელ სავანემდე. მას შემდეგ ყვავილები და სანთლები არ მოჰკლებია მის საფლავს.

ათ სექტემბერს უდროო გარდაცვალების წლისთავზე მწუხარე მშობლებთან, და-ძმასთან ერთად ერთხელ კიდევ მოვიყრით მუხლს მის საფლავთან და ვეტყვით: „შენ ჩვენს ხსოვნაში ცოცხლობ და მარად ჩვენი ბებური“.

მეგობრები მეფრინველეობის ფაბრიკიდან.

---

## სიცოცხლეს ეტრფოდი...

გაფიქრებაც კი გვიჭირს, მაგრამ მწარე სინამდვილეს ვერსად გავექცევით. გაოგნებული, სევდიანი ვდგავართ შენს საფლავთან და ენით გამოუთქმელ მწუხარებას განვიცდით. არასოდეს გვინახიხარ წარბშეკრული, ეტრფოდი სიცოცხლეს და რაოდენ დასანანია, რომ იგი მეჩვიდმეტე წელს შეწყდა. სწავლაზე ოცნებობდი, მაგრამ არ გაგიმართლა...

დღეს შენი გარდაცვალების წლისთავზე მუხლს ვიყრით შენს წმინდა საფლავთან და გიხსენებთ ახლობლები, მეგობრები. ხსოვნა კი ნანა ჭანიასი მარად იცოცხლებს ჩვენს გულში.

თამრიკო კვარაცხელია,

ოდიშის №2 საშუალო სკოლის მუსიკის მასწავლებელი.

რედაქტორი აკ. ჭანტურია.

---

მეუღლე საშა ხუნჯუა, შვილები: ლალი, ანზორი, შვილიშვილები: ნათია, თეა, თემური ანთელავები, ბექანი, ბექა. ლევანი მესხიები, რძლები ნელი სიჭინავა. არიადნა ალშიბაია. სიძე ვალიკო მესხია. ძმისშვილები: თამაზი. ნანა. ციური. მაია. ციცო. იზოლდა. ნუგზარი. რუსუდანი ანთელავები. ცოლისძმა ტიტიკო ხუნჯუა. დეიდაშვილები. ბიძაშვილები. მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან

**შალვა მალხაზის ძე ანთელავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 7. 8 სექტემბერს. დაკრძალვა 10 სექტემბერს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, ლუქსემბურგის ქ. 8.

---

შვილები: ბონდო. პაღიკო. თამილა. იამზე. ნუნუ. შვილიშვილები დათო. გოჩა. ნანა. იგორი. ელისო. ეკა. თამრიკო. თამაზი. მამუკა. მალხაზი. რიმა. სოფიკო. რძლები: ეთერი. მერი. ლალი. ირა. სიძეები: ჯემალი გულორდავა, ჯონელი ჭკადუა, ძმისშვილები: შაქრო, ჯამბული. მარგარიტა ქუხილავები, დისშვილები: ნუცა და ლუდა გოგოხიები, მულისშვილები: გიორგი. ციალა შენგელიები. და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ნაზო იაკობის ასულ ქუხილავა-კეკუტიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8 სექტემბერს. დაკრძალვა 10 სექტემბერს სოფელ კახათში.

---

შვილები: დოდო, ფრიდონი მალანიები, ძმა ვალიკო ქართსანიძე, რძლები: ნარგიზა ეხვაია, რუსიკო ძაძიგური, ნათელა გაგაიბერია, ლია ბუკია, სიძეები: ვამეხი ჯოჯუა, რამინ ლოგუა, მაზლები: ბენო, ვაჟა მალანიები, შვილიშვილები: მაია, მალხაზი მალანიები, ზვიადი ჯოჯუა, ბიცოლა ქეთო წულუკიძე ბიძა პლატონ ჯინჯოლავა; ძმისშვილები: გელა, ვალერი ქართსანიძეები. ბიძაშვილები: გული, გინო ჯინჯოლავები, ნორა. ციალა. ლეილა. ანზორი ქართსანიძეები. მამიდაშვილები: ლეილა, გულნარა, გურამი. რეზო ღუბირიები, ნოდარი, ჯონი ეჯიბიები, მაზლიშვილები: ბაია. ხატუნა. იაგეთა, ბაჩანა მალანიები, მეზობლები ქუჩა კოლომბიაში. ნოე ისვაია და ახლო ნათესავები იუწყებიან

**შურა თედორეს ასულ ქართსანიძე-მალანიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 7 სექტემბერს. დაკრძალვა 8 სექტემბერს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, სოხუმის ქუჩა 31-დან.

---

დეიდა ნუნუ, ბიძა დემური ქვანიები შვილებით თაიაო და თენგიზით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**კახა იურის ძე ლუკავა.** დაკრძალვა 7 სექტემბერს წალენჯიხაში. გამოსვენება მექანიზაციის ქ. 16-დან.

---

შვილები: სვეტლანა, ტატიანა ფიფიები. და ქეთუნა, ძმა ინდიკო აბრალავები, შვილიშვილი გურამ კვარაცხელია, დისშვილები: მაყვალა, დათო კატუკიები, ირაკლი შედანია, ძმისშვილები: ნანი, ოთარი, თემური აბრალავები, რძლები: გული ბიბია, მარგო დემეტრაშვილი, ციალა ლომაია, მარინა ბაკურაძე, ეკა ჩუხუა სიძეები ვალერიან კატუკია, სერგო შედანია. შოთა ჯოლამძე, ჯამბულ ბერიშვილი, ეთერ ნაროუშვილი, მამიდაშვილები, ბიძაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლუცია თედორეს ასული აბრალავა.**

---

მეუღლე ინეზა. შვილები: ეკა. ლია. ზვიადი. შვილიშვილი გურიკა. სიდედრი ვერა. სიმამრი კაპიტონი წითაშვილები. სიძე გურამი ფეტელავა. ძმები: მიშიკო. პაღიკო ნოდარი. ცოლისძმები: იური. აბესალომი წითაშვილები. რძლები: ზოია. სულიკო. ნელიკო. დიანა. მანანა. ბიძია ბესარიონი. ბიცოლა მაგლონია. ძმისშვილები ზაური. კარლო. მამუკა. არჩილო. იამზე. ანტუშა. ბორისი. ტოლიკო. ელგუჯა. დოდო. ლალი. მაია. დალი. ქეთო. მარინა. ნინო. მაკა. ბიძაშვილები. დეიდაშვილები. მამიდაშვილები იუწყებიან

**შავერიკო (ასლიკო) ტერენტის ძე ხუფაცარიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 7 სექტემბერს. დაკრძალვა 8 სექტემბერს სოფ. ორსანტიაში.

---

და ეთერი, ბიძაშვილები: ლეილა, ჯემალი თორდიები, დისშვილები: მაკა. დათო. გია წირღვავები, გიორგი. ირაკლი დავითაიები, დეიდაშვილი გივი ემხვარი. მამიდაშვილები: ფლორა, ირა. გული, ციალა ჩხეტიები. ბიძა ვარლამ ანთილავა. სიძეები გოჩო წირღვავა, არიდან შარია. ილიკო დავითაია იუწყებიან

**მერი ვიქტორის ასულ თორდიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 7 სექტემბერს. გამოსვენება თბილისი. კრილოვის 4-დან.

---

ზუგდიდის რაიკოოპკავშირის კოლექტივი იუწყება კადრების ინსტრუქტორის

**შურა თედორეს ასულ ქართსანიძე-მალანიას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ინგირის მომხმარებელთა საზოგადოების მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან თანამშრომლის

**შურა თედორეს ასულ ქართსანიძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ორდენ ჭითანავა, რეზო გვილია, თორნიკე ქირია. კოტე ხარებავა, ჯემალ მაკალათია, გიგლა ჭითანავა ოჯახებით იუწყებიან

**ჯემალ პროფის ძე ფარცვანიას**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ქეთევა და ნოე ეხვაიები იუწყებიან მეზობლის

**შურა თედორეს ასულ ქართსანიძე-მალანიას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ზუგდიდის სტამბისა და გაზეთ „ოდიშის“ რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლუნა მორგოშიას დის

**ნაზია (მანუჩა) კალისტრატის ასულ მორგოშია-შედანიას**

გარდაცვალების გამო.

---

ზუგდიდის მეცხრე საშუალო სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს იზო გორგაძეს მამის

**ალექსანდრეს**

გარდაცვალების გამო.

---

ძმა ვალოდია, რძალი გოგუცა ძმისშვილები: მურთაზი, იზოლდა, ინეზა ქანთარიები ოჯახებით იუწყებიან

**ძალუ ერმინეს ძე ქანთარიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 10 სექტემბერს სოფელ ძველ ხიბულაში (ხობის რაიონი).

---

ზუგდიდის მომხმარებელთა საზოგადოების კოლექტივი იუწყება

**ამირან დიმიტრის ძე გადელიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ქ. ზუგდიდის კოოპერატივების „მერანის“, „მიხას“, „ვერიკოს“ „ჩირაღდნის“, „ცისარტყელას“ თანამშრომლები იუწყებიან

**ამირან დიმიტრის ძე გადელიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულთა ოჯახებს.

---

ცეკავშირის ზუგდიდის სავაჭრო საბითუმო უნივერსალური ბაზის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ამირან დიმიტრის ძე გადელია**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ინდექსი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 56. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-33-69, პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78, მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-09.

ზემდგომი სიტყვის საქართველოს რესპუბლიკის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. №56, 2-23-07, ტირაჟი 8000 შეკ. [illegible]